

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონპროექტზე „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავება განაპირობა „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადებამ, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო კონტროლი მაღალი რისკის სურსათის მწარმოებელი საწარმოებისთვის დაიწება 2013 წლიდან. „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონის 42¹ მუხლის მიხედვით კი ვეტერინალური კონტროლი განხორციელდება 2009 წლის 31 დეკემბრიდან. აღნიშნული ჩანაწერის შესაბამისობაში უნდა მოვიდეს „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან, რამაც გამოიწვია კანონის პროექტის მომზადება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანა „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონთან

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით ვეტერინარული კონტროლის მექანიზმი სრული მოცულობით ამოქმედდება 2009 წლის 31 დეკემბრის ნაცვალდ 2013 წლიდან, კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: აღნიშნული კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფის აუცილებლობას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება:

სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება ფინანსური ზეგავლენა არ გააჩნია.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)
კანონპროექტით არანაირი გადასახადი, მოსაკრებელი, ან სხვა სახის გადასახდელი არ არის განსაზღვრული.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტების შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:
საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, ზვიად კუკავა, ლაშა თორდია და გიორგი მელაძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:
საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, ზვიად კუკავა, ლაშა თორდია და გიორგი მელაძე.

